


1938

# ოქტომბრული

1938 8



1938

8



ඡායාචිත්‍ය ප්‍රජාලුද්‍රාජාධික

රුජායු. මිසාමාරිති: තැපෑලියා, දූරකථනයෙහි ජ. № 31  
තුළ. № 3-02-51

සාම්. ආ. ලු. ක. ඩීපාස දා සාම්. එංජිනේරුවන් වාහන තබුණි තැබාවෙනු

## ඛෑල් මැන්ද්‍රිස් තොටෝ

	83
1. පාඨධාලා මහාචාර්යගෙනු—සාලාම් තුශ්‍රීල දායුම්පෙද්‍ර	1
2. උ වෘත්‍යාලුවන්සයි—ශාන්තිරා පාසුලු තාර්ග්‍රැනි ත. ඡාන්ඩියාම්පෙළියා	2
3. තැපෑලය රැකිවයෙනු—මූලුයායෝගි	6
4. දුවාන පත්‍රක්‍රීලා—අලුඩ්ලිස දායි	7
5. පොටිය තැබූවායෙනු—නිර්ජ්‍යාලා තැබූ මාර්ගාන්ධීපෙළියා	6
6. පාඨධාලා තාර්ග්‍රැනුයෙනු—ශ්‍රීලංක මිනා (නෑම්පුරු අධ්‍යාපි)	9
7. මොට දාජානාහෙලා—තුවිතමුහුරිනුයා	10
8. මොට රුහුණායෙනු—ප්‍රාජ්‍ය මාර්කෝප්‍රේලා	12
9. එ. පොටියක්ද—ගුණ පාසුරි	13
10. මඟ. තැපෑලක්ද—සාක්න ප්‍රාජ්‍යෙදා	15
	16

පාසාන තොටෝ . . . . . ගාරුපානිස ඩී-4 ගු.

ප්‍රාජ්‍යාලි ගාලුක්මීජ්‍රාලිය ම්‍යාංු. ලෙනිස දී ම. මාන්ඩියාලිඡීපෙළියා මිගුරු.

ගාරුපානිස ම්‍යාංුරුවන්හා යුතුතොටියි ම්‍යාංු. න. ග්‍රැන්ඩ්ලිඡීපෙළි.

පාසුන්සිස්මිජ්‍යෙදාලි රුදායුක්තිකරි—එ. මිනින්දො පාසුන්සිස්මිජ්‍යෙදාලි මුදුගාන් ත. ජාන්ඩාන්සිලියා

ජාලුයා ඊට්‍රම්ප්‍රාජාධික 26/VII-1938 අ.

ක්‍රුෂ්‍රාලුවන් ප්‍රාජ්‍යාලිය ම්‍යාංු. දා මිනින්දො මුදුගාන් ත. ජාන්ඩාන්සිලියා

ස්ථානයෙහි තීව්‍ය 60X92

ක්‍රුෂ්‍රාලුවන් ප්‍රාජ්‍යාලිය ම්‍යාංු. 9<sup>1</sup>/<sub>4</sub>X14

# საღამი უცხოედ ბავშვებს

გვეწვევთ მალე, სწორებო,  
სხვადასხვა კუთხით ნაკრები,  
საბჭოთა ქვეყნის სტუმრად ხართ,  
ჩვენში არ დაიჩიგრებით.

ქართლის მთა-ბარი მოგველით  
ხალისით გამთხარ ბინებად,  
ჩვენი ლამაზი სამშობლო  
თქვენც შშობლად მოგველინებათ.

რამდენი საქმე მიგველის,  
რამდენი გასართობები,  
ტყესა და ვალებს მოვირბენთ  
მზით შერუჯული ტოლები.

პატარა თევზებს მოგიყვანთ  
ფატრიდან კოცხლად იყვანილს,  
გვიკვენებთ, მარწყვი სად იყის,  
ან სად მწიფდება მაყვალი.

ჩვენებურ ზღაპარს გიამბობთ,  
მზის ვაჟი დევს რომ იგერებს,

ჩავაბათ ხოლმე ფერხული,  
გასწავლით ქართულ სიძლერებს.

დამით კი, როცა ნიავი  
მთებიდან ჩამოეშვება  
და მთვლემარ ხეთა წვეროებს  
უოთლებს შეურჩევს ექვნებად,—

კოცონის ირგვლივ ბანაკი  
თქვენს სმენად გაინაბება,  
გვიამბობთ ნახულ ჭირ-გარამს,  
თქვენი მამულის წამებას.

კარგად მოგისმენთ მეგობრებს,  
გაეიზიარებთ თქვენს დარღებს,  
რომ მტერი მეტად შეგვარდეს,  
სამშობლო მეტად გვიცვარდეს.

მალე გვეწვეთ, სწორებო,  
ბანაქს კრთავთ სტუმართ ბინებად,  
ჩვენი ლამაზი სამშობლო  
თქვენც შშობლად მოგველინებათ.



სურათები — უცხოელი ბავშვები. შარქნიდან მარჯვნივ: 1. ქაპანელი — გეორგი, 2. ჩინელი — მაინა, 3. გურიანელი — ალექსი, 4. რემინიელი — არტური.



# ქარაპირა სახურავი

ქალაქის განაპირა უბაზში შარაგზის პირას ძველი ძველი სახლი იდგა. ფართი ფანჯრებიდან ყოველთვის მოჩანდა და ვინ ქალაქში მიღიოდა და ვინ ქალაქიდან მოღიოდა. სახლის უკან ბაღი იყო. ყოველ შემოდგომაზე ბაღში დიდი წითელი ვაშლები და მუქი-ლურჯი ქლიავი მწიფებოდა. ოდესაც ამ სახლში ცხოვრობდა ორი ადამიანი - ბებერი ავყია ბატონი, რომელიც არსად არ მსახურობდა, და თავისი ბატონიერი მოხუცი მოსამსახურე ქალი, რომელსაც ბატონი უკიროდა ღილით, შეაღლისას, საღამოთი და შუაღამისას. მაგრამ რაღაც მო-

დასცეს სახლი, ბაღი მწიფე ვაშლებითა და ქლიავით. ამიერიდან ბატონის სახლი საბავშვო სახლად იწოდებოდა. ბავშვებს ერთნაირად ჩაცვეს. ბიჭებს — თეთრი ქურთულები და ლურჯი შარვლები, გოგონებს — თეთრი ქურთულები და ლურჯი კაბები. პალტოებიც მისცეს და კალიშებიც დაურიგეს.

ქალაქში შიმშილობა იყო. ირგვლივ სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, მაგრამ ბავშვებს ყოველთვის ქეინდათ ცხელი წვენი და ტებილი ფაფა. უფროსები თვითონ არ ვაძლენ, ცდილობდნენ საბავშვო სახლის ბავშვები ყოველთვის მასრები ყოფილიყვნენ.

ბავშვები სწრაფად შეეხივნენ ერთმანეთს, მხიარულად დარბოლენ ძველი სახლის ყელა თორმეტ თოახში. მხიარული ცისფერთვალა აღმზრდელი ნასტია სულ ახალახალ სათამაშობს იგონებდა. მასთან ბავშვებს არსახდეს არ ეტყობოლათ მოწყვენილობა. ნასტიას გარდა კიდევ სამი აღმზრდელი იყო, მაგრამ ისინი მოწყენილი და ბრაზიანები იყვნენ, მუდამ რაღაცას ბუტბუტებდნენ და ჯავრობდნენ.

იყო კიდევ სათვალებიანი დირქტორი და სამეურნეო ნაწილის გამგე, რომელიც ყოველ ღილით ტალახით შესვრილი ველოსიპედით ქალაქში მიღიოდა.

ორი მეგობარი, პეტრა და პაველ, ძლიერ დაუახლოედა ნასტიას. მათი დახლოვება იმ დროიდან იწყება, როცა მეგობრებმა დიდი გემის აგება მოისულეს, სწორედ ისეთი გემის, როგორიც მინიარეში დაცურავს. მაგრამ საგრძლები დიდი და მძიმე იყო. ორივე მეგობარს ერთი სავარღლის აწევაც კი არ შეეძლო. ნასტია სწორედ ამ დროს



სამსახურე ქალი ყრუ იყო, ბატონს შეეძლო ეყვირა რამდენიც სურდა. მოსახსახურე ქალი მხოლოდ თავს აქნევდა და ისეთ გამომეტეველებას იღებდა, თითქოს უსანენდა ბატონის ლანძღვას.

შემდგომ მოხდა რევოლუცია. ყვალა მდიდრული სახლიდან გამოისახლეს მდიდრები. ბებერი ბატონი სადღაც წავიდა, ყრუ მოსამსახურეც მოშორდა იქაურობას.

სახლი დიდებანს არ იდგა ცარიელი. მთელ ქალაქში შეერიბეს ბავშვები. გა-

მოვიდა და ააშენა ისეთი გემი, რომ იმის დანახვა მაღლი იყო. პეტკამ გრამოფონის მილი აიღო და ავიდა სულ ზე-  
ვით, კაპიტრის საცემშე. პავკა კი მებან-  
ქანე გახდა, ქვევითა სავარძლის ქვეშ  
შეძრა. პეტკა ჩასახის გრამოფონის  
მილში: „მოელი სისწრაფე“, პავკა კი ქვე-  
ვით, სავარძლებს ქვეშ, ქშინვს და ზუ-  
ზუნებს სწორედ ისე. როგორც დილა-  
ობით ზუზუნებდა გემი „ვორონევე“.

ამ დღიდან საბავშვო სახლში გემო-  
ბიას თამაში საყვარელ თამაშობად გადა-  
იქცა.

ერთხელ ბავშვები დილით აღარ გა-  
უშეს სასეირნოდ. პეტკამ და პავკამ შენიშვნეს, რომ სამეურნეო ნაწილის გამ-  
გე თავისი ველოსიპედით ქალაქში აღარ  
წავიდა, სულ სახლში იჯდა. აღმზრდე-  
ლები კი ფანჯარასთან აყულებულიყვნენ  
და ჩურჩულებდნენ. ნასტია ნამტირალე-  
ვი დადიოდა, მისი თვალები ცისფრად  
აღარ გამოიყურებოდნენ, ნაცრისფერი  
და სველი გახდნენ.

— ბავშვები, დღეს გემობიასათვის  
აღარ გვცალია, ნუ იხმაურებთ, — უთარ-  
მან პეტკასა და პავკას.

პეტკა და პავკა ისე მიიპარნენ ფანჯა-  
რასთან, რომ აღმზრდელებმა ვერ შენიშ-  
ნეს. მათ დაინახეს, რომ შარაზე წითელ-  
არმიელები მიდიოდნენ ქალაქისაკენ, მათ  
მიჰყებოდნენ ფურგუნებითა და ზარბაზ-  
ნებით. ცყველა ჩქარობდა, ერთმანეთს უსწ-  
რებდნენ. ისინი ძლიერ დიდებანს მიდიოდ-  
ნენ, პეტკასა და პავკას მათი ცქერაც კი  
მოძებრდათ. უცებ სადღაც სულ ახლოს  
სროლა გაისმა. აღმზრდელებმა კივილი  
მორთეს, ფანჯრიდან გადმოცვივდნენ და  
იატაქებენ. დირექტორის ისე შეეშინ-  
და, რომ სათვალე ფქებთან დაუვარდა  
და თვითონვე დაამსხვრია, შეძლევ კი  
ბრმასავით დაბარბაცებდა ყოველ მხრივ.

შარაზე თქარათქური გაისმა. ცხნო-  
სანმა ჯარმა გაირბინა, ერთმა ხმალი  
მოუწინა წითელარმიელს, მაგრამ თვითონ  
დაუცა და აღმზრდა ამდგარა.

— რა დაემართა? — იკითხა პეტკამ.

— არ ვიცი, — უპასუხა პავკამ.

ამ დროს შემოსასვლელ კარზე დაა-

კავუნეს. აღმზრდელები ერთმანეთს მუჯუ-  
ლუგუნის ცემით ევაპრებოდნენ: არა შექ  
გააღე კარი და არა შენო. ბავშვებმა და-  
დინახეს, როგორ მივიდა ნასტიამ წირებული  
თან და გადაუგდო ურდული. კარებში  
შავწვერიანი სალდათი იდგა და იგინე-  
ბოდა.

— რატომ მალე არ გააღე? — დაუ-  
ყირია მან ნასტიას. ბავშვებმა გაიგონეს,  
როგორ უთხრა ნასტიამ წვერიანს:


— აქ საბავშვო სახლია.

— ეგ არაფერია, ბავშვებს შეევიწ-  
როვებთ, ბინაა საჭირო! — წვერიანმა ნას-  
ტიას ხელი წაჟრა, სახლში შემოვიდა,  
მის უკან კი სამი თუ ოთხი რაღაცას  
მოაგორებდა.

— ზარბაზანია? — პეტკამ პავ-  
კას.

— ტყვიამფრქვევია, — უპასუხა პავკამ.

— გენერალია? — ანვენა წვერიანზე  
პეტკამ.



— რადგან წვერიანია, მაშასადამე,  
გენერალია, — დაუდასტურა პავკამ. მაგ-  
რამ ა კიდევ შემოვიდა ერთი ახალ-  
გაზრდა კაცი და „გენერალს“ დაუყირია. მაშინ კი მიხვდნენ პეტკა და პავკა, რომ  
გენერალი ახალგაზრდაა, წვერიანი კი  
სულაც არ არის გენერალი.

— თქვენ აქ რას აეკიდებთ? დაიკარ-  
გეთ აქედან! — დაუყვირა ახალგაზრდამ  
ბავშვებს. ბავშვებმა მის მქერდზე მრავა-  
ლი სირმა და ჯინჯილები შენიშვნეს,  
მხრებზე კი ოქროს პავინები.

— აბა ჩქარა, რამდენჯერ უნდა გავი-  
მეორო? — დაიყვირა მან კიდევ, და ბავშ-  
ვებმა კარტბს მიაშურეს.

ამ დღეს არ ასაღილეს ბავშვები. მეო-  
რე დღესაც არ აქვთ მსოფლიო ნას-  
ტიამ მოიტანა საიდანლაც პური და გაუ-  
ყო მათ. ბავშვები კუნცულებში მიმაღწენ  
და ყურს უგდებდეხნ რა ხდებოდა სახლში.  
ისმოდა ხმაური, ყვირილი, ლანძღვა; ყვე-  
ლა აღმზრდელი გაიქცა, მხოლოდ ნას-  
ტია დარჩა. სამუელნეო ნაწილის გამგეს  
ველოსიპედი ჩამოართვეს, ის ძალივით  
წემუტუნებდა, ჩიოდა, რომ შისი ველო-  
სიპედი ვიღმაც ხეს დააჯახა და ქა-  
ლაქში წასკლის საშუალება მოეცაო. ბავ-  
შვები ყველის დაავიწყდა. პეტებ და  
პაკამ ფანჯრილან დაინახეს, რომ ქალა-  
ქისაკენ მიგმართებოდნენ ზარბაზნებითა  
და ფურგუნებით, თუ სალდათს კი ნას-  
ტია მიტყვადა საღდაც.

— სად მიძყაოთ? — იქითხა პეტებ  
პაკამ.

— არ ვიცი... ჩეკნ...

პაკამს უნდოდა დაეყვირა, მაგრამ პეტ-  
ებმ პირზე ხელი მიაფარა.

სამი დღე გავიდა. არ მცი არც ცხე-  
ლი წვენი, არც ფუფა, არც ჩაი.

ბავშვები შეივრებოთ დაეხეტებოდნენ.  
გარეთ გამოსვლისა ეშინოდათ. ისინი  
ძლიერ შეაშინა სირმებიანნმ კუპა. ერთ-  
ხელ პეტებმ გამხდაობა მოიქიბა, კარტბი  
გააღო და პირისპირ შეხვდა წვერიანს. მას  
გაწილებული ცხვირი ჭრინდა და წყლია-  
ნი თვალები. რალაცას მდგროდა და თან  
შარვალს იკრებდა.

— ა, ნახვეთა კაცო, გინდა, ყუ-  
რებს დაგვერი!

მან პეტებს დიდი, საშინელი დანა აჩ-  
ვენა. პეტებმ მინურა კარტბი და დიდხანს  
ესმოდა, როგორ იცინოდა და ახველებ-  
და სალდათი.

გაირა კიდევ ერთმა დღემ. საჭმელი  
არ იყო. გარეთ გამოსვლა საშიში იყო.  
უცემ ფანჯრის ექით კვლავ ქუხილი გა-  
ისმა. სახლში სიჩუმე ჩიმოვარდა, თით-  
ქოს ყველა წავიდა. ფანჯარისთან მის-  
ვლის ვერ ბედავდნენ ბავშვები, ეშინო-  
დათ. გაიგონეს, ქავენილხე რაღაცა ახ-  
მაურდა. ეს ცხენები გარბოდნენ. შეძეგ

ყველაფერი კვლავ მიწუნარდა. პეტება და  
პაკა სავარძლის ქვეშ იწვენ მოწყობის  
ნების ეკვროდნენ. სახლში ვაჟაფარებულება  
ვიდა და ოთახებში დადიოდა. უცემ მო-  
ეჩერათ, რომ ა შემოვა ცხირგაწილე-  
ბული წვერიანი სალდათი და დიდი და-



ნით ყურებს დააკრის. იქამდე შეშინდნენ,  
რომ სუნთქვაც შეწყვიტეს. ნაბიჯის ხმა  
ახლოვდებოდა. ისმოდა, როგორ აღებ-  
და კაცი კარტბს და როგორ უახლოე-  
დებოდა იმ ოთხს, სადაც ბავშვები იმა-  
ლებოდნენ. კარტბი გაიღო და ოთახში  
ვილაცა შემოვიდა. ბავშვებმა სავარძლი-  
დან მხოლოდ ტალახით შესკრილი წექ-  
მები დაინახეს.

შემოსულმა იქითხა:

— არავინ არის?

— უნდა იყვნენ, — უპასუხა მეორემ  
მეზობელოთაზიდან. — აქსაბავშვი სახლია,  
ბავშვები ბეკრძან არიან. აღბათ, იმ საძაგ-  
ლებმა შეშინეს.

— არის ვინდე თუ არა? — იქითხა  
ხმამაღლა შემოსულმა.

— ნუ გვშინიათ, ბალლებო, გამოდით,  
არაფერს გავნებთ!

ამ კაცის ხმა კეთილი და შვეიცარი იყო.  
პეტებმ გაბედულება მოიკრიბა, სავარ-  
ძლიდან თავი გამოვიდა და დაინახა კა-  
ცი, რომელსაც მხრებზე თასმები ჭრინდა  
გადაქიმული. კაცს პეტებას კენ ზურგი  
ჭრინდა შექცეული.

— სადა ხართ, გამოძევრით,

— აქა ვართ, — ძლიერ წარმოთქა ში-  
შისაგან აკანჯალებულმა პეტებმ.

კაცი შემობრუნდა, და პეტეამ ჩსეთი  
დიდი ულვაშები დაინახა, როგორიც  
მთელ თავის სიცოცხლეში არ ენახა.  
პეტეა მშერით შექმნდა მოსულს. ულვა-  
შიანს შავი და კეთილი თვალები ჰქონ-  
და. კაცმა გაიცინა, და პეტეას მოუწევენა,  
თითქოს ულვაშებმაც გაიცინეს.

— პავკა, გამოძვერ, — წარმოთქვა პეტ-  
ეამ და თან ტანსაცმლს იბერტუკავდა.

— მშივრები ხართ? — იყითხა ულვაში-  
ანია.

— დიალ, ჩვენ უველა მშივრები ვართ,  
შეც, პავკაც და სხვებიც.

— სხვები საღლა არიან?

— ბავშვები, გამოძვერით, ესენი  
ჭულკეთილები არიან!

სავარძლებისა და სკმების ქვეშიდან  
გამოძვრენ ბავშვები. პეტეა უკვე უცნო-  
ბის წინ იდგა, ძლიერ მუხლებამდე სწვდე-  
ბოდა.

— შენ რას გეძახიან?

— პეტეას. შენ?

— მე ბუდიონს მიწოდებენ. ჰეი, ამხა-  
ნაფო გავრიელოვთ, უბრძანე მოიტანონ  
ჩაი, ზაქარი და ერთი საველე სამხარე-  
ულო შემობრუნონ აქეთ.

ბავშვები შემოეცვინენ ბუდიონის. მათ  
არ იცოდნენ ვინ იყო ბუდიონი, მაგრამ  
დაინახეს, რომ ის კეთილია და მათ არა-  
ფრს ავნებს. სანამ სამხარეულო მოვი-

დოდა, ბავშვებმა მოასწორეს ეამბოოფ აღ-  
შირდელებზე, სამეურნეო ნაწილის გაშენება  
და მის კელოსიცედზე, ნასტავე. ურთისესობა  
ბუდიონიშ შებლი შეეტუხნა, და ორია-  
ნა ახალი აღმზრდელები მოეყვანათ.

— აბა, პატარებო, მოდით თქვენი  
ჯამებითა და კოვჭებით! — იძახდა სამხა-  
რეულოზე მჯდომი მხაირული წითელ-  
არმიელი, რომელსაც ქუდზე წითელი  
ვარსევლავი ჰქონდა მიმაგრებული. მან  
სახურავი ახალა ქვაბს, და იქიდან ისეთი  
სასიმონო სუნი ამოვარდა გემრიელი  
ფაფისა, რომ ბავშვებს ნერწყვი მოადგათ  
პირზე.

ბუდიონი ცველას ისე გამოემშვიდო-  
ბა, თითქოს დიდებთან/ბქონდა საქმე, ხე-  
ლი ქუდთან მიიტანა, შემდეგ თეთრ ცხენ-  
ზე შეჯდა და წავიდა.

ორი დღის შემდეგ ახალმა აღმზრ-  
დელებმა ბავშვები ვაგზალში წაიყვანეს,  
იქ მუსიკა უკრავდა. ბავშვებმა ერთხელ  
კიდევ ნახეს ბუდიონი; ბუდიონიშ შათ  
სალამი მისცა, როვორც ნაცნობ-მეგობ-  
რებს. ის ჯავშნიან მატარებელზე იდგა,  
რომელიც თეთრებს წართვეს. ამ მატა-  
რებელზე ეს ეს არის მღებავძა, სტალინის  
ბრძანების თანახმად, წარწერა გააკეთა:  
„სახალხო გმირის ბუდიონის სახელობის  
მატარებელი“.

თარემანი თ. შანშიაშვილისა,





## მოცეკვავენი

აიხადა სუენის ფარდა,  
მორთულია ყველა კოხტად;  
კოხტა ბიქი, კოხტა ჩოხით,  
მოსწყდა ტოლებს, წინ გამოხტა.

დაუარა წრეს დავლურით,  
და აგორდა ტაშის ტალღა,  
ათი წლისა აოც კი და  
ვაქეაციოთ ფრინაეს ლალად.  
ბიჭუნიავ, ახ, ნეტავი  
მეც მაქცია შენებრ ბალღად.



ის კი ცეკვავს ტანმოქნილი,  
აფრიალებს ჩოხის კალთებს;  
ტოლ გოგონას გამოიწვევს,  
თას აწონებს, თვალებს ანთებს.



და გოგონაც ქართულ კაბით  
ჩამოიკლის წრეში რხევით;  
კოხტა ვაჟიც კოხტა ცეპვით  
ნაპერწელებს ყრის ირგვლივ ფრქვევით,

ყველა ისე შეჭხაროდა,  
მიძულნდათ ლიმი ვარღად;  
შეწყდა ცეკვა და დარბაზი  
ტაშის ტალღით აზანზარდა.



# ტრუბოლი ბარში



ედა, დედიკო! აფრ ძის სოსო! ის დაგვიწერს! — გაბრწყნებული თვალებით ახარა ცილიამ თავის დედას. თენიშვილი მოპერა თუ არა თვალი საყარელ პოეტს, ისიც სიხარულით მივარდა დედას.

— არიქა, დედა, ძის სოსო! ის დაგვიწერს!

მშობლებმა გახედეს აღმა მიმავალ ბესიეს ქუჩას და მართლა დანახეს გრიშაშეილი, მას მთელი კონა წიგნები ამოქარა იღლიაში და ფიქრით დატვირთული მძიმედ მიემართოდა ზევით.

— ახა, ცილა! დაეწიე, გნაცუალე!

— არიქა, თენიშვილი, შენც გაიქცი!

ბავშვები ისე სწრაფად მოსწყდნენ ადგილს, თითქოს ჩიტის დასაქერად გაიქცინო. დაეწივნენ მიმავალ პოეტს, ერთმა მარჯვნიდან წაავლო ხელი, მეორემ — მარცხნიდან, თან ასე მოულიდნელად შეპყრობილ ძის სოსოს მერცხლებით დაუწეს ელმურტული აქეთ-იქიდან:

კუურთხილდებით ჩვენს გაზაფხულს, ერთად შეკრულს ამ ჩვენს გულებს, ერთი ჰანგი გვიმღერას,

ერთი აზრი გვასულდგმულებს.

ასეთ ტყვეობაში ჩავარდნილი სოსო იხედება აქეთ-იქით და ღიმილით ეკითხება:

— ვისი ხართ, ბავშვებო, თქვე კარგბო, თქვე გიუგბო. რა გინდათ ჩემგან, თქვე ცელქებო, თქვე...

— ჩვენებია, ჩვენები, სოსო! — მოსახიან უკანიდან ახალგაზრდა, ბედნიერი

— მერე, რა დავაშვე, რომ ასე გამბაჭრეს შეაგზაში, დღისით, შზისით, საქვეყნოდ?

აქ ცილის დედა ღიმილით უპასუხებს:

— დააშვე, დააშვე! კარგი და საყვარელი პოეტი ხარ, სწორედ ამიტომ ჩვენც ბეგარა უნდა დაგადოთ.

— ჯერ ამ პატარებს ვერ დავადწევ თავსა და თუ თქვენც მიეშველებით, ჩემი შველა აღარ ყოფილა!

აქ ანგელინაც ღიმილით უპასუხებს:



— შენი შველა არც იქნება, ჯერ ჩვენ თუ არ გვიშველი.

— რა გინდათ, ხალხო, ჩემგანა, ასე რო შემომეხვიერ დედა-შვილები?

აქ ცილის დედა ელენე მუდარით მიმართავს:

— სოსო, გნაცუა! აბა შეხედე ამ ბავშვებს, ხო კარგები არიან?

— მშვენიერები არიან! ლამაზებიც არიან თავიანთი დედებივითა, რაზეც გინდათ დავითიცავ! მერე?

— პო და ამ შშევნიერ ბავშვებს, თანაც რომ ურიადოსნები არიან, უარი ეთქმით რამეზე?

— ამათ უარს როგორ შეჲქადრებს კაცი, თუ გული საგულესა აქვს.

— პო და, ჩვენც ეგ გვინდა სწორედ. აა, ჩემი სოსო, ამათ გაათავეს ოთხწლედი. ამის აღსანიშნავად ხვალ სახეიმო სალამის მართავენ სკოლაში მასწავლებლებთან ერთად. ამ ზეიმისათვის ერთი პატარა ლექსი სკირდებათ და არ იციან ვის დაწერონონ, მაგრამ ეხლა კი იციან, ეხლა ძია სოსო დაუწერს უშეველად! რაკი ამათ ხელში ჩავარდი, აღარ გაგრძებენ, ვიდრე თხოვნას არ შეუსრულებ. სოსო შეფიქრიანდა.

— ხალხო ამ შეუ გზაში სად დაგიწეროთ უბიდან ხო არ უნდა ამოვილო დაცეცილი, უნდა თავიდან ამოვილო... მოდი, ხვალ იყოს!

ბავშვებმა ფუხების ბარტყუნი შექმნეს.

— არა, არა! დღესვე გვინდა, ძია სო-რა. უნდა სასიმღეროდ დავამზადოთ.

ძია სოსო თაქ იფხანს გაჭირვებული კაცივით.

— მაშ კარგი! ეხლა ლევან მეტრეველ-თან მივდივარ სანახავად და იქ დაგიწერთ. ეგებ თვითონ ლევანიც დაგვებმაროს, როგორც გაჭირვების ტალკვესი. ანგლინ და ელენე სიხარულით შეძახათ:

— ჩვენც მოვდივართ და იქავე დაგაწერინებთ! ისე არ მოგეშვებით!

ბავშვები შინ გაისტუმრეს შეპირებით, სოსო კი აწლევაზრდა დედებთან ერთად შეუდგა მამადავითის აღმართს.

\* \* \*

არგა შებინდდა, მესია-მოენა სტუმრების მოს-ვლა. ოთხი თვევა ავად-მყოფობის გამო შინ გარ ჩაკეტილი, უბრალო ნაცნობის მოსვლაც კი სასიამოენოა, არამც თუ კარგი მე-გობრისა.

სოსომ მითხრა თავისი „გაჭირვება“, ანგლინამ და ელენემ კიდევ თავიანთი

იმედი, რომ ხელუარიელი არ გამოიწვევ დებოდენ უკან. შინ გულის ფან ქართველი ელიან ციალა და თენგიზი შემსრულებელი იძლება იმათა ხათრი გატერის ქარქული მედი.

რას იზამ! ბევრიც რომ ეცადოს სოსო, ასეთ იქრიშს თავს ვეღარ დაღწევს.

ეზოს კუთხეში ჩემ კოკორიქინა გა-გოს ალუბლის ბალი რომ აქვს, იქ შევედით. სოსო პირაბმა გადაბრუნებულ ყვავილის კოქობაზე ჩამოჯდა და მოფაროთა საწერად. ანგლინა და ელენე ფრცარზე ჩამოსხდნენ და ელიან ახალი ლექსის შობას.



ბნელა. აღარაფერი ჩანს.

— ეხლავე სანთელს მოვიტან, ძია სოსო! — იძახის ჩემი გოგონა და გარბის სახლში. ჩქარა მოარბენნა სანთელი, აათო და, თითქოს ძია სოსო სალოცაფა ხატი ყოფილიყო, მის გვერდში მიაქა, თვითონაც იქვე ჩამოჯდა და პირდაღული მიაჩერდა.

რა მშვენერი იყო ალუბლის მწვანე ფოთლებში მოციალე სანთელი, ლექსის საქარგავად გამზადებული სოსო გრიშ-შეილი, იმის გვერდით ნუკრივით მოკურტული პატარა გოგო ნანული, პირდაღული კიდევ სიხარულით მოღიმარი ორი ბეჭნიერი დედა!

აფესუს, რომ ვინმე არ გადახატავს ას სურათს!

აი, იშობა პირველი მუხლი ლექსის. უველას მოგვწოხს.

ავერ მეორე მუხლიც იშობა. უხარი თვითონ სოსოს. გვიხარია ჩვენც, დაუფრი მეტად უხარი ბალახებში მოკურტულ ჩემ პატარა გოგონას.

ახალგაზრდა მშობლებს მე და სოსო  
უკვედავთ:

— თქვენ სთქვით, რომ ლექსი სასიმ-  
ღერო უნდა იყვეს, იმ პანგზე, რომელ-  
საც მღერიან კინო-სურათ „ცირკში“.  
აბა მაშ ეხლავე ვიმღეროთ, რომ გავი-  
ვთ, სწორედ არის შეწყობილი თუ არა.

ციალან დფდა ელექტრო აღარ გაიპოვნეა.  
აიღო ახლად შობილი ლექსი და წყნარი,  
ნაზი ხმით ჩაიღილინა:

ოთხწლედიდან მოვდივართ  
საბჭოების შეილები,  
ჩენი დიდი ბელადის  
ზრუნვით გამოსწორდილები.

ყველას გიძლვით მადლობას  
და თან გაძლევთ პირობის:

ჩენ დროშაზე დავაწერო  
შრომასა და გმირობას!

ამ ნასს და მორცხე ღუღუნს ჟურნალის  
მესობლის ბავშვები უგდებდნენ ყურს.  
მეორე დღეს მეუბნებიან:

— რა კარგი იყო! რა ლამაზი იყო!  
ზღაპარსა ჰგავდათ!

ჩემი გოგო მეხვეწება: — დასწერე, რა,  
როგორ იყო აქ ძია სოსო, როგორ დაწე-  
რა ლექსი და ისიც ჩაუმატე, მე რომ სან-  
თელი ავუნთო.

მეც ხათრი ველარ გავუტეხე პატარა  
გოგო ნანულის და აპა, ავწერე, თუ რო-  
გორ იშვა ეს პატარა ლექსი ჩემის თანა-  
დასწრებით.

### III. გრიშაშვილი

# ჩაგრეხილი ხილი მარჯანიშვილის მუსტომი



ქავეპავაძის სანახავალ  
მე თვატრში გავემგზავრე.  
მაგრამ შენ კი, ო, მეკარევ,  
გატრაჯე და გამაჯავრე.

სდგებარ კართან მედიდური,  
მოღუშული ასე მუდამ,  
დამინახე და წარმოსოქვი:  
„ამ პატარას აქ რა უნდა?“

კეთილად კი არ მომმართე,  
ვით წესია, სიტყვით ზრდილით!  
შემიტიგ: „შენთვის, გოგო,  
წარმოდგენა წავა დილით!“

მე რა ვქნა, რომ პატარა ვარ,  
არა ეჩინეარ ასე დიდად!  
მე რა ვქნა, რომ მოსამენად  
„ჩატეხილი ხილი“ მინდა?





# ପ୍ରମାଣିତ ଦାତା

(କେବଳମାତ୍ର ଏକମାତ୍ର)

ଲ୍ୟେଟ୍ରିଓମବର୍କ୍ସିଲୋ ଗୁଣୀୟ ସିନ୍ଦାରୁଲ୍ୟିତ କ୍ଷେତ୍ର-  
ଦା: ଶାଶ୍ଵତ ଲ୍ୟାମାଣୀ, ଲ୍ୟାମାଣୀ ଲ୍ୟୁକ୍ରେ ଥିଲୋ-  
ପ୍ରକାଶନା.

— მამიკო, ესეც ხომ მამალი ძალ-  
ლია? ვაი, რა გრძელი ყურები აქვს!  
რეგწასაც სულ ასეთი ყურები პო ჰქონდა,  
მამიკო?

— კი, შეიღო, ესეც ისეთივე მონა-  
დირე ძალია, როგორც ჩემი რექსი  
იყო, მაგრამ ეს მუქნაა, როდესაც გაი-  
ზრდება, ამას ლეკვები ეყოლება...

გიზის თვალები უბრწყინავდა.

— ეს რომ გაიძრდება, მაშინ მეტ  
ხომ წამიყვან სანალიროდ? — შეკითხა  
მამას, აიტაცა ლეკები, თან ხელს უსვამ-  
და და თან ამბობდა:

— მამიკო, რა დავარქვათ ამას? ძია  
კოლას ძაღლს ხომ ლეღი ჰქვია, მოღი,  
ესეც ლეღი იყოს? — მამა დაეთანხმა.  
ოჯახს ახალი წევრი შეემატა, რომელმაც  
დიდი აურიზაური ჩამოადო.

გიზის დას ქეთოს კატა მყავდა, რო-  
მელსაც თვალში აჩ მოუკიდა ლეკე,   
აიფხორებოდა ხოლმე და მზად იყო სა-  
ხეში სცემოდა. კატაარც ლედის ჩაქ-  
რიდა გულში, მაგრამ ბოლოსა და ბო-  
ლოს თვალი შეაწიეს ერთმანეთს.

ლედი მეტისმეტი ეშმაკი გამოდგა. რომ მოიხარდა, ხან რას დავლებდა პირს და ხან რას. გახედავ და მოაბეჭნინებს პირით ფეხსაცმელს, ან გიზის ბურთს ეთამაშება, სურს ქბილი მოავლოს, მაგრამ ვერ ახერხდებს; ხან გიზის მამის ქუდს წასწვდება და ოთახებში დარბის გაგიჟებული...

ბრაზობს გიზის დედა ბაბი, ბუზლუ-  
ნებს:

— სწორედ აღარ შემიძლია .მეტი!  
სისხლი გამიშრო ამ ლეკვება, სისხლი!

მშვენიერი ყნოსვა ჰქონდა ლედის.  
გიზი იოლებდა ხოლმე კალ თებესაცმელს,

ცევირთან მიუტანდა ლეკვს, მერე ბალა-  
ხებში ჩამალვინებდა ქეთოს და გაუ-  
შვებდა ლედის.

ლექვი გაიტეოდა, ხან აქტე ეცემოდა,  
ხან იქით, და ცოტა ხნის შემდეგ ამაყალ  
მოარბენინებდა ნაპოვნ ფეხსაცმელს.

გინზე სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.  
ასე გადიოდა თვეები. ლელი დღი  
ძალით გახდა, სანაციონიც დაპყვადა გა-  
ზის შაბას და ძალით ემაციონირდით.

— მშვერინერი ყნოსვა აქვთ ლეიისი, —  
ლიმილით ამბობდა გიზის მამა. — სხვა ძალ-  
ლები რომ ჩაუვლიან ამა თუ იმ აუ-  
გოლს და ვერაუტოს სუნს ვერ აიღეჭქ,  
ლევდი იქ აიწურება, ეპარქება, ეპარქება და  
მერე გაქავებულივით ვაჩერდება. რო-  
დესაც ვუბრძანებ, გადაწრება და წმო-  
აფრინს ფრინველს...

ნანადლირევეოთ დატვირთული მოდიო-  
და ხოლმე მამა, და გიზის კიდევ უფრო  
ჰეტად შეუყვარდა ლელი. მხოლოდ ერ-  
თი რამ აღონებდა ბიქუნას და სულ ეს-  
კულეურებოდა მამას:

— მამიკო, მეც წამიუვანებ სანადიროდ  
ლედი რომ გაიზარდა, მეც ხომ გავიზარ-  
დე! წამიუვანებ, რა იქნება!

მამა ოლერსით გადაუსვამდა ხოლო  
ხელს თავზე და შშვიდად ეტყოდა:

— Առժա յուղա ճարպա լց, զի՞ն, և  
Շենը թագուցան եռլոմից, չըն ու զի՞-  
րեծա.

— ჩემ ფისოს მაღლ კუტები კულება, ამბობდა ქეთო. — ერთი კუტე უნდა დავიტოვო, დაანარჩენებს კი ამხანაგებს ვაწყებ. ხომ, დედიურ?

— ჩემ ლეღისაც მაღვე ეყოლება და  
კეგბი! — წამოიძახა გიზიმ. — ერთ ლექტ  
შეც დავიტოვებ.

— ჰო, ჰო, შენ ძალლებს გადაჲყევი, ქოთომ კატებს უაროს, და მეტი რა გინდათ! — უქმაყოფილოდ თქვა დედამ. ამ ღროს მამაც შემოვიდა.

— მამიკო, ერთი ლეკვი ხომ ჩემი იქნება? — შემოსვლისთანავე შეექითხა გიზი.

— არა, ლეკვები უნდა გადავყაროთ, გლოხა მამა ჸყავთ, მათი გაზრდა არ ლის.

გიზი მოიღუშა.

გავიდა რამდენიმე კვირა.

ერთხელ გიზის ალიონზე ლეკვების ხმა ჩიესმა ძილში, წამოხტა და ქეთოს დაუწყო ღვიძები:

— ქეთო, ქეთო! ლედიმ ლეკვები და-ყარა, ლეკვები!

ქეთომაც გაიღვიძა, და ბავშვები ჰერანგისამარა გავარდნენ დერეფანში, სა-დაც ლედი ლოკავდა თავის ლეკვებს.

— შეხე, გოგო, შეიდა ლეკვი ჸყავს, შეიდი! — ამბობდა აღტაცებული გიზი.

ძლივს დააწვინა დედამ ბავშვები.

ლეკვები იმ დღესვე გადაუყრევინა გიზის მამამ. ლედი ოთახებში დარბოლდა, ყველ კუთხეს სუნგვდა, ლეკვებს დაეძებდა... ბოლოს შეძრა ტახტის ქვეშ, შოიუნტა, არც ჭამდა და არც სვამდა. გიზი მისი საცოდაობით იწვეოდა.

მესამე დღეს კატამაც დააგდო სა-ზი კნუტი. ქეთო სიხარულით ცას ეწია. როგორც კი გაიგონა კნუტების ხმა, ლედი გამოვარდა ტახტის ქვეშიდან და კნუტებთან მიიჭრა, მაგრამ კატა აიფხორა და საომრად გაემზადა.

დაინახა ლედიმ, რომ ესენი მისი ლეკვები არ იყვნენ, და ჯავრით წელმოთვე-ული ისევ ტახტის ქვეშ შეძრა. სარიცხვა-შემდგრადობა

ასე გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ დედა-კატა ქუჩაში გავიდ და აღარც დაბრუნებულა, უგზოუკვლოდ დაიკრგა. ვერ გაიგეს, გადაურის რამებ, თუ რომელიმე ცელქმა ბავშვმა დაიჭირა და შინ წიყვანა თვალებაზე ული, რომ გზა ვერ გამოეგნო, არ გამოპარულიყო. კნუტები საბრალოდ კნადნენ, თვალები დაბუჭული ჰქონდათ. მათ საცოდავ კნავილშე ლედი გამოძრა, მივიდა მათთან და დასჩერებოდა.

— რა ვქნა, შეტი აღარ შემიძლია, გული გამიწყალეს ამ კატებმა და ძაღლებმა! — ოხრავდა ბაბი. — ამათი კნავილის თავი უისა აქვს! საოცარია, ნეტა რა მოუვიდა იმ კატას!

ბაბიმ ლამბაქზე დაასხა რძე და კნუტებს დაუდგა, პირიც ჩააყოფინა ლამბაქში, მაგრამ კნუტები ქამას ვერ ახერხებდნენ. ბაბიმ ხელი ჩაიქნია და სადილის საყიდლად წავიდა ბაზარში. როდესაც დაბრუნდა, კნუტების ხმა არ ისმოდა.

— ალბათ, რძე შევამეს და დაწყნარდნენ, — გაიფიქრა ბაბიმ და სადილის კეთებას შეუდგა.

სადილობის დრომაც მოაწია. ქეთო დაბრუნდა სკოლიდან.

— დედიკო, ჩვენი კატა ხომ არ მოსულა? კნუტები რას შერებიან? — სწრაფად იყითხა და იქითკენ გაიქცა, სადაც კნუტები ეგულებოდა.



უცემ გაისმა ქეთოს ყვირილი:

— დედიკო, მოდი, მოდი, ჩეარა მო-  
დი!

გულგახეთქილი დედა მიიჭრა შვილ-  
თან და რას ხედავს: ლელი გაწოლილა  
და კნუტებს ძუძუს აწოვებს!

— ეს რა არის? — წამოიძახა ბაბიმაც  
და თვალს არ აშორებდა ძაღლსა და

კნუტებს. ეს უცნაური მმბარე მარე მო-  
ელო მთელ ეზოს, დაიძრნენ მნახელები.  
სამ დღეს აწოვებდა ლელი გაწოლილა  
ტებს, მაგრამ მას საქმაო რე არა მქონ-  
და, და კნუტები დაიხოცნენ. ქეთოს მწუ-  
ხარებს საზღვარი არა მქონდა.

არა ნაკლებ დაზაღვლიანებული იყო  
უცნაური ძიძაც.

ნოე ღაფეახელი

## თვითმფრინავი



— ცის ტატნობზე რაღაც მოჩანს,  
უნდა იყოს, გოგო, ძერა,  
ერთი ჟეხე, გაარჩიე,  
მე ვერ შევძელ მაღლა ცქერა:

შა, ქათმებსაც, დააკვირდი,  
აუგარდათ ფორიაქი,  
ძერა არის, მაგრამ მიკვირს:  
ასე დიღი, ასე სწრაფი?

— უმ, ბებიკო, — უთხრა თინაშ, —  
როგორ მოგდის ეგ ფიქრები!  
ძერა არის? — თვითმფრინავი  
მოგუვუნებს რკინის ფრთებით.

ნუთუ მუდამ გავიწყდება,  
ხშირად მოდის ეს ხომ აქეთ!  
მოუსმინე, რა ხმა აქვს და  
რა სიჩქარე, რა სისწრაფე!

— უი, ქა! რა ვიცოდი,  
ნეტავ ახლო დამანახვა!  
დედაია, როგორ ხდება  
ამ ჰაერის გადალახვა;

ან რას მიყავს? კაცის ჭრუა  
ნეტა რას არ მოიგონებს!  
ხედავ, ხედავ, რარიგ ჩეარა  
უკან ტოვებს ამ ჩვენს გორებს!

მოხუც ბებოს უხსნის თინა,  
რაც კი იცის თვითმფრინავზე,  
თან შეპყურებს დიდ თვითმფრინავ,  
მოსწონს მისი სილამაზე.

ფიქრობს: ნეტავ, ვინ ზის იქ,  
ბელნიერი ვინ არია,  
ნეტავი მეც გაეხდებოდე  
მაგისთანა შფრინავიო.



# ცოცხალი მაჭარებელი



ଏହି ଡା ବୁପା ମାଲୋକନ  
ଗାରଟ୍ଟୁଣ୍ଡି ଅଳୋକ ପାତ୍ରାଳୀ  
ଲାମାଶୀଳ ଶ୍ଵରାଟେବେଳି, ରମ୍ଭ-  
ଲ୍ଲେବିପ ମାମିଳ ଶାବଦଙ୍ଗ-  
ଲାଙ୍ଘା ଅନ୍ଧାରି ।

— 7 — ვანო, აქ რომ აქ-  
ლემებია ერთმანეთზე გადაბმული, ყვე-  
ლა ერთულზიანია, მე კი წიგნში ორუ-  
ნარი იხსენი.

— მე გამიგონია, არაბეთსა და აფრიკში ერთულზიანი აქლემია, სხვა ქვეყნებში კი ორჟულზიანია. აი, მაგა მოღის, მან ჯრგად იყის მაგის ამბავი, ვთხოვოთ კიბიბოს აქლემზე, — თქვა ვანომ.

— მამა, მამილო! გვიამპენ აქლემზე!

— კარგი, კარგი, ჩემო ვერიტება, შოლიდ უველავერი დაიხსოვეთ და მე-  
ნ ამხანაგებს უამბეთ.

— ხომ ხედავთ, აქ რამდენი აქლებმის  
ურთიერთობებზე გადაბმული. ამას ქარავანს  
ჩაბიან. ქარავანი მოგზაურობს ცხელ  
კუყანაში, სადაც რკინისგზა გაყვანილია  
ო არის. ამ სურათზე დახატულია უდაბ-  
ო. ეს არის ოფალურწვერების მიღამ,

შერალი კვითელი ქვიშით დაფარული.  
ზოგან ღიღრონი ქვები ყრია, ირგვლივ  
არ არის არც ტუტი, არც მდინარე და არც  
არაეთარი სიმწვანი. ზემოთან შევავე შეე  
დირხას დაჲყურებს. აღმური ასდრის კვე-  
ლაფერს, და პარი გულშემუთველია.  
მაგრამ აქა-იქ გამოჩნდება შევანით შემო-  
სილი მიღება, ხეები. მათ ძირში მიწონ-  
ტყარებს პატარა რუები, ირგვლივ ლამაზი  
კვავილები, კაკტუსი და სხვა მცენარეებია.  
აქ ადგინანიც ცხოვრობს. ამისთანა  
ადგილს ოაზისს ეძახიან. ოაზიში იბადება  
აქლეგი. პატარა კოზაკი სულ შავებუქუჭ-  
თმიანია. ცხელ ქვეყანაში აქლეგი პატ-  
რონის სიყრმის მეგობარია. როცა გაიზ-  
რდება, მოლონიერდება, ქარავაში ჩაებ-  
მება და მოგზაურობს უცაბნოში.

— ମାନ୍ଦିଲଙ୍କ, ବେଳ ମୁକ୍ତଦେଶଙ୍କାନ କୁର୍ବଣିତ  
ଏକାହି ଦୀର୍ଘ ମିଳି ପାରୁନି? — ଶ୍ରୀକୃତିଶ  
ପାତ୍ରାଚାରୀ ନେଇବୁ ବେଳି.

— არა, არ მოკვდებიან. ხომ ხდედათ,  
ამ სურათზე აქლებდეს ჰყიდა ზურგზე სა-  
პალნის ცალები, წყლით სავსე ტიკები.  
გზაში პატრონი აძლევს აქლებდეს ჯერზე  
ცოტა დანაყილ ინიცისურმის გაშლს, ტი-



როგორის რამდენიმე ყლორტს და ასმევს  
წყალს, მაგრამ ხშირად საქმელი და  
სასმელი გამოელევა. წყლის გამოლე-  
ვა ცხელ ქვეყანაში აქლებს დაღუპავ-  
და, რომ ბუნებას მისთვის არ მიეკა საქ-  
მელისა და წყლის საკუთარი საკუნაო.

— რა საკუნაო, მამა?

— ხედავთ, როგორი ულამაზო კუზი  
აქვა? ეს უნაგირის მაგირა. კუზი შედგება  
მეტად ნაზი, დაცალკევებული კანიდან. ეს  
კინი დაყოფილია პატარატარა უჯრე-  
ბად და ღრუბელის ემსავასება. ყველა უჯ-  
რა ქონის პაწაწინა საკუნაოა. თვითეულ  
უჯრას ყოველდღე ემატება ქონი. თუ  
აქლებს კარგად კვებავენ, მაშინ კუზი  
მაღლდება და გაჭირებილია ქონით. წყლის  
საკუნაო. რომელიც საქმელზე უფრო სა-  
კიროა ცხელ ქვეყანაში, მას კუჭთან აქვს  
— ეს არის კანის მრავალი უჯრედი. ეს  
უჯრედები იღება და იყეტება, როგორც  
სამჭედლოს საბერველი. როცა აქლები  
წყაროს იპოვის, ხარბად დაეწაფება წყლის  
და ძალიან ბევრს სვამს. ეს იმიტომ, რომ  
თავის საკუნაოში ინახავს იმ დროისათ-  
ვის, როდესაც უდაბნოში ერთ წვერ წყალ-  
საც ვერ იშოვის პირის გასასველებლად.  
მიღის ქარავანი ქვიშიან უდაბნოში, გზას  
კვალი არ გმიჩნევა, პატრონი წინ მიუ-  
ღვის და მზის მდებარეობით იკვლევს გზას.

— არ შეიძლება მზეს ღრუბელი გა-  
დაეფაროს და გზა აებნეთ? — შეეკითხა  
კანო.

— შეიძლება, და ზოგჯერ მარცხით  
თავდება. უდაბნოში იცის ერთგვარი ძლი-  
ერი ქარი, მას „სამუშა“ ეძახიან რომ და-  
ბერავს, კორიანტელს ცამდე აიტანს. სულ  
დაბნელდება ირგვლივ. როგორც კი შე-  
ამჩნევს ქარავანის პატრონი სამუშას მთახ-  
ლოვებას, მაშინვე აქლებებს ირგვლივ  
შემოკრებს, დააწვენს, თვითონ შუაში  
მოექცევა, ზემოთ ბრეზენტს გადიფარე-  
ბენ და ამრიგად ასცდებიან ხიფათს.

— მამა, თუ თაზისი არ შეხვდათ, არ  
დაისვენებენ?

— როგორ არა, ერთ უკავშირში 8  
დღეს იმოგზაურებენ. თუ შეხვდათ ა-  
ზისი, ხომ კარგი, თუ არ ერთ დღეს დაის-  
ვენებენ, მერე კი განაგრძობენ გზას. რა-  
საკირველია, თაზისი მათთვის ძლიერ  
სასურველია სასმელ-საქმელის მომარაგ-  
ბისათვის, აქ აქლები საძრვას პოულობს; ხო-  
მ ხედავთ სურათზე აქლებს. როგორ  
მოქლე ცხვირი აქვს და უხეში ტუჩები,  
ის ისეთ მაგარ და უხეშ მცენარეს ჰქმი,  
რასაც სხვა ცხოველი, რაც არ უნდა ში-



ოდეს, არ მიეკარება. მას შეუძლია 2-3  
დღეს უწყლოდ გაძლის სიცხეში, სიც-  
ხეში. 5-8 დღე უპერები ივლოს. ამიტო  
აქლები ცხელი ქვეყნის მცხოვრებთათვის  
დიდი განძია. ხანდახან მოხდება ისე. რო-  
მარავანი მიღის, მიღის დიდხანს, დაქნ-  
ცულებს სული ეხუთებათ, პატრონი სულ  
თაზისზე ოცნებობს. უცბათ შორისა  
გამოჩნდება მწვანე მიღამო—ხეები, კუ-  
ვილები. ქარავანი აქარდება მოუ-  
ლოვდებიან, და ეს მოჩვენება ქრება. ასე  
მოჩვენებას მირაჟი ეწოდება. უდაბნოში  
ერთადერთი შეუდარებელი ცოცხალი მა-  
ტარებელი აქლებია, — ასე დამთარას  
უბარი მიმამ.



# გიური



# საური

ჰატარა ვარ, სახელად  
მეძახიან საურსა,  
მოელს ეზოში მიცნობენ  
საღდან – საღდაურსა!

მხიარული ყიჯინით  
ვეგებები დილისა,  
ბურთს გავერავ და თან მიედევ,  
გადავდევარ ყირასა.

მეგობრები ბევრი მყავს,  
უველა მიღდას მხარშია.  
თუ ცოტა გამაჯავრეს,—  
უუტყაბუნებ თავშია!

წავლენ – ტირილს დავიწყებ,  
ვეძახი და ვლრიალებ,  
მოვლენ – წავიჩნებებით,  
და ყოჩივით ვტრიალებ!

სუსველა გიქს მეძახის:  
უსხო, გინდ შინაური!

თუ გიური ვარ, თვით მიკვირს:  
რაღად მქვია საური?

ხშირად რა მსურს არ ვიცი,  
ლობე-ყორეს ვედები...  
დიდი ძმა გავაჯავრე,  
ჩამიქეება გვერდები!

წაველ, დედას შევჩივლე  
(მამამ მითხრა უარი),  
ორივემ დაუმატა,  
გამოვდექი მტყუანი!

დიდედასთან მიველი,  
ისიც ამყვა ტირილში...  
...და სადილი გათავდა,  
ასე წივილ-კივილში.

...რა მინდოდა, რა მრჯიდა,  
რად ვარ ატირებული?  
განა არ სჯობს გიფობას  
სიკეკიანე ქებული?



# საპენის გუმრისი



B

ამა, დღეს შინ იქნები? მო-  
შეგხმარე საპნის ბუშტების გა-  
კეთებაში. შენ რომ ყვითე-  
ლი საპნი მითხვრი, ვი-  
შოვე, ყველაფერი მზად  
მაქვს, ოლონდ შენ მომებარე! — მო-  
რიცებით მიმართა ედიშერმა მამის და  
დაინახა რა მამა თანხმობს ნიშანად  
თავს აქნევდა, სიხარულით შეიჩ-  
ბინა თავის ოთახში, გამოიტანა წვდის  
წყალი, ციდისფის წინასწარ შენახული,  
დასხა თევზში, ჩაყრა შეგ ყვითელი  
უბრალო საპნი და სრესა დაუშენ. რამ-  
დენიმე ხნის შემდეგ საპნი წყალში გა-  
ისხნა და სქელი ხსნარი დამზადდა. შეძ-  
ევ გამოიტანა გლოცერნი და დას-  
ლოვებით ხსნარის ქრო მესამედი მიუ-  
მატა. კიდევ აურია ერთმანეთში, მოხა-  
და კოვზით ქაფი და მოწიწებით იღო  
სოფლიდან ჩამოტანილი ისლის ღერთ.  
გადასონა და ათი ხელტიმეტრის სიგრძის  
ღერთ მოტეხა, ერთი ბოლო თევზში ჩა-  
და, მეორე კი პირში დაიჭირა და ჩაპ-  
ხერა. ბუშტები თევზა გაჩნდა, მაგრამ  
უცემ გაქრა. სცადა რამდენიმეჯერ, მაგ-  
რამ მაინც არაუგრი გამოვიდა. შეყუ-  
მანდა, მამის დაუხმარებლიად ვერავერი  
გააკეთა.

— მამა! ახლა მკირრება მოხმარება

— აბა, მაჩვენე, როგორ აკეთები არ ვარგა! ლერო პირდაპირ დაიჭირე, აი ასე

— ॥, ମାମି, ଶ୍ରେଷ୍ଠେ, ରାମନ୍ଦେନ୍ଦ୍ରା ହୁମ୍ତି  
ଗାମ୍ବୋଗିଲାକି?—ମାମିଶ ଅଳ୍ପ ମିଳିବ, ଧନ୍ଦିଲା  
ଜୁଗାଳିକେବୁରୁଳାଦ କାହିଁପରା ଦା ଏହିଶ୍ରେଷ୍ଠ  
ଶ୍ରେଷ୍ଠି ମିଳିବା.

— ძალიან ნუ ჩაბერავ, ედიშერ.

ଦୟାଶ୍ରମୀପି ନେତାକୁ ହାମିଲୁଗିଲା-

— აბა, ედიშერ, დაისველე თითი საპნის ხსნარით და დაკვირდი ბუშტს: თუ არ გასკა, მხოლოდ მაშინ იქნება კარგი.

— გასკვა...

— မာရ် ပါလွှေ ဇာုံမာရ် ဆာတော် လူ  
ဖုန်တော်လှေ၊ ဇာမြွှေ့ဝါလွှေ့ပါတ ဟာပျော်၍.

— ხედავ, მამა, ერთი ბუშტი ზეციო  
წავილა! წამოიძახა სიხარულით ედი-  
შერჩა.

— ძალიან კარგია. მე ახლა საჭირო  
აღარ ვარ, შენ თვითონ იმუშავე, — უთ-  
რა მაგან და წავიდა. ამ დროს ამხანაგებ-  
მაც მოუსწორეს.

— ფერები! ფერები! — იძახდა ედი.  
შერი.

გამოიტანა შინის ძაბრი და ყვაელილი. ყვაელილი დაღვა საპისისხარიან თევზე და ზედ ძაბრი დაპირევადა. ფრთხილად ამოსწილი და ჩაბერა ძაბრის მიღმენი. ძაბრის ფართო ყელიდან დიდი საპის ბუ-შტი გამოიბერა. ედიშერმა ძაბრი გვერდებე გადახარა. როცა ბუშტი საკამად გაიზარდა, ნელნელა გამოაძრინა იყ ძაბრიდან.

- აბა, ბიჭებო, შეხვდეთ ამ ბუშტს!  
კისარტყლაზე უფრო ლამაზია!

ମାର୍କଟରୁପ ପ୍ରସ୍ତରାଳେ ମନେଷିନଙ୍କରୁ. ମର୍ଯ୍ୟାଦା-  
ଗ୍ରହକାର ଶ୍ରେଷ୍ଠରୀଲୀ ଦୁଃଖୀ, ରନ୍ଧିଲୀଙ୍କ ଜ୍ଯୋତି-  
ପ୍ରାଣୀଙ୍କିଲୀ ଯୁଗ ମନୋକ୍ଷେପିବୁଣ୍ଡା. ଶ୍ରେଷ୍ଠରେ ଶ୍ରେଷ୍ଠ-  
ଶ୍ରେଷ୍ଠର ଉପରେ କିମ୍ବାର୍ଥକାରୀ ଦେଖାଇବା ବେଳେ  
ଲୁହରିଛି, ବେଳେ କିମ୍ବା କିମ୍ବା ଶ୍ରେଷ୍ଠର ଦୁଃଖୀ ଏକ  
ମନ୍ୟାବ୍ୟକ୍ରିଯିକ ଦା ଭେଟାର୍କ ମନ୍ୟାବ୍ୟକ୍ରି,  
ମେନ୍ଦରିକେ ମେସାମ୍ଭ, ମେସାମ୍ଭକେ ମେନ୍ଦରିକେ, ଏବେ  
ଦୁଃଖୀବେଳୀ ଗର୍ଦନ୍ଦା କାହାକୁ ଶେଯିବା. ଶ୍ରେଷ୍ଠ-  
ଶ୍ରେଷ୍ଠ ମାତ୍ର ଗାଁକ୍ରୂଟେକ୍ ମାତ୍ରତୁଲୀଙ୍କ ତାରୀ ଖାତ୍ର-  
ଲୀ. ଶ୍ରେଷ୍ଠର ରଙ୍ଗଲୀପି ଉଦ୍ଧରାଇବା ଯୁଗ ଦିନାଂ-



რებული სკამის სახელურზე, მეორე რგოლს კი პატარა სახელური ჰქონდა.

ჯერ დამაგრებულ რგოლზე მოათავსეს დიდი ბუშტი და შემდეგ საპნის სხარში დასველებული სახელურიანი რგოლი დაადგეს ზემოდან ფრთხილად და ასწიეს. ბუშტი გაიკიმა და გრძელო, ცილინდრული გახდა. ოოცა მეტად ზემოდ ასწევდნენ. მაშინ ბუშტი წყდებოდა და ორ ბუშტად იქცეოდა.

— აი, მეტს ნუ გაძერავ, მოიტანე ეს ღერო აქ და ამ სანთელთან დაიკირე! — უთხრა ედიშერს შორიდან მეთვალყურე მამამ.

— ალი იხრება!

— რატომ?

— იმიტომ, რომ პაერი გამოდის ღერიდან, ბუშტი იქცმშება და ლოტოობას უბერაას სანთელს.

— წმორია, ყმაწვილებო. აი ეს ბუშტი რომ ციც ადგილზე გადავიტანოთ ან უფრო ცხელ ადგილზე, რა მოუვა?

— სიცივეში დაპატარავდება, სიბოში კი გადიდლება, — წამოიძახა ეფუძნული მოვა. — შიგ რომ პაერია, ის ფართოვდება და იკუჩმება.

— ყმაწვილებო! ამ საპნის ბუშტებზე მუშაობდნენ დიდი მეცნიერები: ისაკ ნიუტონი, პლატონ, დიუარი და სხვები. ბავშვებს საოცრად ეწვენათ: მეცნიერებს საპნის ბუშტი რად სკირდებოდათ, და ექვის თვალით შეხვდეს ფიზიკის მასწავლებელს ედიშერის მამას.

— გიკვირთ? ოოცა გაიზიდებით და უმაღლეს სასწავლებელში ისწავლით, აი მამინ კარგად გეცლადინებათ, თუ რად სკირდებოდათ მეცნიერებს ეს თქვენი სათამაში საპნის ბუშტები. ახლა მე მოგცემთ წიგნებს. თქვენ ჩამოაყალიბეთ ფიზიკისა და ქიმიის წრე და ოოცა თავისუფალი ტრო გექნებათ, იმუშავეთ ედიშერთან. მე დაგეხმარებით.

ბავშვები სიხარულით შეუდგნენ წრის გეგმის შედგენას და წრის ხელმძღვანელად ედიშერი აირჩიეს.



# ଶାନ୍ତି କବିତା




1. ამიკრძალეთ მხეცების  
გაბრაზება!  
აბა, ჯონი! ვნახოთ, რა  
დაშველება!



2. ဒေဝါယာပို့ဆို၊ နိုံချုပ်၊ နိုံချုပ်  
မိုးဖွေ့ကြော်  
နှာသူသာရ်လေ ဗျာလီ စာရီမီ  
မြတ်ပျော်ပို့ကြော်.



Յ յե, ար ցեմու հեմո յե  
մատ, ոռորդի  
პարույքաս մոցութեզու  
հոգունիմց.



4. დავილუპპე, გორილებმა  
გამგლიჯეს,  
ეს რა კერძო, რატომ  
ჩემთვის არ ვიჯექ.



ၬ. ხელი მოშვერს, ძირს  
მოვდივა ო კვილით.  
ახლა ნახეთ ჩემი თვეს  
ტკივილი.



6. უკ, გადაეტჩი! მოხარის  
ძე რარივ,

„პიონერსკაია პრავდა“-ღმ  
თარგმანი ეს. აზლაშვილ